განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ

სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ლიანა კობესაშვილი
წევრ(ებ)ი:
სოფიკო ანთაური

ნაწილი I. შესავალი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	230078331

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ზესტაფონი
ფაქტობრივი მისამართი	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი. სოფელი პირველი სვირი
საფოსტო ინდექსი	2000
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://tinyurl.cx/IxARh
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	pirvelisviri@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	577233022

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 06/03/2026 წლის ბრძანება MES 5 26 0000274649
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	----------

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება განხორციელდა დაწესებულების მიერ სსიპ – ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც დაწესებულების გადაწყვეტილებით უზრუნველყოფდა ბრძანებით განსაზღვრული ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასებას. შეფასების პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა დაამუშავა წარმოდგენილი მასალები, გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია და პროცესის დამადასტურებელი მტკიცებულებები სკოლიდან. წარმოდგენილი და დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაციის ერთობლივი ანალიზის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა შეფასება, რომლის შედეგებიც ასახულია წინამდებარე დასკვნაში.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
350	**100**

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლამ 08.04.2026 წლის № MES 2 26 0000420184 წერილით დაადასტურა, რომ ეთანხმება დასკვნის პროექტში წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, დასკვნის პროექტში იდენტიფიცირებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ამასთან, სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი - შესაბამისობის ტიპის ველში სკოლას მითითებული აქვს „არ შეესაბამება“, ნაცვლად „მეტწილი/ნაწილობრივის“.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, თუმცა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების ნაწილი ვერ გაიზიარა, ვინაიდან რიგ შემთხვევაში ისინი ეწინააღმდეგებოდა მოქმედ კანონმდებლობას რიგ შემთხვევაში ეხებოდა უკვე დამდგარ ფაქტობრივ გარემოებებს რომელთა შეცვლაც აღარ იყო შესაძლებელი.

დეტალურად იხ. 1.2.1.1, 1.2.1.2, 1.2.1.4, 1.2.2.2, 1.2.2.4. ინდიკატორების აღწერა.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N 1.2.1.1	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.	1.სკოლას ჰყავს არჩეული დირექტორი. მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირად მითითებულია დირექტორი, რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს N785 - ე ბრძანებასთან „საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ“ . 2.სკოლა არ იცავს საკუთარი მეთოდოლოგიით დადგენილ წესებს. (დეტალურად იხ. ინდიკატორის აღწერაში)
ინდიკატორი N 1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.	1.სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს N785 - ე ბრძანებასთან „საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ“
ინდიკატორი N 1.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი	1.სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიანი გეგმა დამტკიცებულია პედსაბჭოს მიერ რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს N785 - ე ბრძანებასთან „საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო

	პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ“ .
ინდიკატორი N1.2.2.2	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით	წარმოდგენილ დოკუმენტაციით არ დასტურდება: 1.სასკოლო საზოგადოების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და მათი უკუკავშირი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის პროცესში. 2.მეთოდოლოგიის შესაბამისად იანვარში მონიტორინგის განხორციელების პროცესი.
ინდიკატორი N1.2.2.4	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის	სკოლამ ვერ უზრუნველყო სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების სკოლის შემდგომი განვითარების მიზნით გამოყენების დასაბუთება.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N..1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას,	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (08.04.2026 – 29.05.2026 წწ.)

[2] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.	უზრუნველყოს სტრატეგიული გეგმის კორექტირება და მიზნებთან შესაბამისი ამოცანების სწორად შერჩევა
ინდიკატორი N 1.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სკოლამ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფით განსაზღვრულ ვადებში (08/04/2026-დან 29/05/2026 წწ) უზრუნველყოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დახვეწა ისე, რომ მასში მკაფიოდ იყოს წარმოდგენილი გაზომვადი შესრულების ინდიკატორები და თითოეულ აქტივობასთან დაკავშირებული, რეალისტურად განსაზღვრული და უზრუნველყოფადი რესურსები.

რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.1.	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს	სასურველია სკოლის ხედვის ტექსტი იყოს მეტად სტრუქტურირებული, რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს ძირითადი გზავნილები, მოხდეს მომავალზე ორიენტირებული სასურველი მდგომარეობის უფრო ნათლად ფორმულირება და ძირითადი შედეგების გამოკვეთა.

ინდიკატორი N1.1.1.3.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.	სასურველია, რომ დაწესებულებამ სამომავლოდ, სკოლის ფილოსოფიის გადახედვის ან/და რევიზირების პროცესში, უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების უფრო ფართო მასშტაბით ჩართვა, მათ შორის მოსწავლეთა წარმომადგენლ(ებ)ის ჩართვა.
ინდიკატორი N1.1.1.4.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.	სასურველია სკოლის ფილოსოფიის გაზიარების პროცესში უზრუნველყოფილი იყოს სასკოლო საზოგადოების უფრო ფართო ჩართულობა, მათ შორის მოსწავლეების, მშობლებისა და სხვა დაინტერესებული პირების აქტიური მონაწილეობა. მაგ., სასკოლო საზოგადოებასთან შეხვედრების, გამოკითხვების, სამუშაო ჯგუფების, ფორმატში თანამშრომლობა, რაც უზრუნველყოფს განსხვავებული მოსაზრებების დაფიქსირებასა და გათვალისწინებას. ასევე მნიშვნელოვანია პროცესის თითოეული ეტაპის სათანადო დოკუმენტირება, რათა ნათლად დასტურდებოდეს, რომ სკოლის ფილოსოფია არა მხოლოდ შეთანხმებულია, არამედ რეალურად გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ
ინდიკატორი N1.2.1.3.	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.	სასურველია სკოლამ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში დააკონკრეტოს სტრატეგიული მიზნები და მიზნის შესაბამისი ამოცანა, რომლის მიღწევასაც ემსახურება კონკრეტული აქტივობა.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

რეკომენდაცია პირველ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტების მხრიდან არ გაცემულა

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მისიისა და ხედვის დოკუმენტის ანალიზით დგინდება, რომ:
ა. სკოლის მისია ორიენტირებულია მოსწავლეზე, რაც გამოიხატება როგორც მისი გონებრივი, ფიზიკური და სულიერი განვითარების ხელშეწყობაში, ასევე, თვითრეალიზაციისათვის საჭირო ცოდნისა და ცნობიერების ჩამოყალიბებაში. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება კულტურულ ფასეულობათა პატივისცემის, სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და ოჯახის, საზოგადოების და სახელმწიფოს მიმართ პატივისცემის გაღრმავებაზე, რაც თანხვედრაშია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ღირებულებით კომპონენტებთან. ხოლო ის, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, რომელიც ორიენტირებულია ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მათი პოტენციალის გამოვლენასა და განვითარებას, პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებასა და მიღებული ცოდნის რეალურ ცხოვრებაში გამოყენებას - შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ერთ-ერთ ძირითად პრინციპს - მოსწავლეზე ორიენტირებულ და დიფერენცირებულ სწავლებას.
ბ.სკოლის ხედვა, რომელიც ემყარება მუდმივ განვითარებას, ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფას, სასკოლო საზოგადოების უწყვეტ პროფესიულ ზრდასა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციას, ასევე, სრულ თანხვედრაშია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების იმ მიმართულებებთან, რომლებიც მოიცავს განათლების ხარისხის ამაღლებას, ინოვაციური მიდგომების დანერგვასა და კონკურენტუნარიანი პიროვნების ჩამოყალიბებას.
სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია სკოლის ხედვის ტექსტი იყოს მეტად სტრუქტურირებული, რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს ძირითადი გზავნილები, მოხდეს მომავალზე ორიენტირებული სასურველი მდგომარეობის უფრო ნათლად ფორმულირება და ძირითადი შედეგების გამოკვეთა.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.**

წარმოდგენილი მისიისა და ხედვის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა მკაფიოდ განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის მისია ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც მოიცავს გონებრივ, ფიზიკურ და სულიერ ასპექტებს. იგი ხაზს უსვამს უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემოს შექმნის მნიშვნელობას, სადაც თითოეულ მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა, გამოავლინოს საკუთარი პოტენციალი, განივითაროს ინდივიდუალური უნარები და შეძლოს თვითრეალიზება. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება

ეთმობა კულტურულ ფასეულობათა პატივისცემის, სამოქალაქო ცნობიერებისა და სოციალური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას, რაც სკოლას სოციო-კულტურულ სივრცედ წარმოაჩენს. სკოლის ხედვა, რომელიც ეფუძნება მუდმივ განვითარებასა და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ სასწავლო პროცესს, კიდევ უფრო ამყარებს აღნიშნულ როლს. დიფერენცირებული სწავლების, ინდივიდუალური პროგრესის აღიარებისა და თითოეული მოსწავლის მხარდაჭერის პრინციპები უზრუნველყოფს ინკლუზიური და განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს ჩამოყალიბებას. ამასთანავე, სასკოლო საზოგადოების უწყვეტი განათლებისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა ქმნის უსაფრთხო, თანამშრომლობით და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ სივრცეს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.**

სკოლამ წარმოადგინა 07/06/2023 წლის ბრძანება MES 1 23 0000653656 (ბრძანება N1/კ-04), რომლითაც განსაზღვრულია სამუშაო ჯგუფი სკოლის დირექტორის, მასწავლებლების, სამეურვეო საბჭოს წევრის(მშობელი) შემადგენლობით. აღნიშნულ სამუშაო ჯგუფს ბრძანებით დაევალა სხვადასხვა საკითხებთან ერთად მისია, ხედვა ღირებულებების შემუშავება. აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლის (დირექცია, მასწავლებლები, მშობელი) ჩართულობას ფილოსოფიის შემუშავების პროცესში რაც ხელს უწყობს გადაწყვეტილებების მიღებისას სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფის მოსაზრებების გათვალისწინებას.

სკოლას მიეცა რჩევა სასურველია, რომ დაწესებულებამ სამომავლოდ, სკოლის ფილოსოფიის გადახედვის ან/და რევიზირების პროცესში, უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების უფრო ფართო მასშტაბით ჩართვა, მათ შორის მოსწავლეთა წარმომადგენლ(ებ)ის ჩართვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

სკოლამ წარმოადგინა პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოების სხდომის ოქმები, რომლებშიც ერთ-ერთ საკითხად განხილულია სკოლის ფილოსოფიის პედაგოგებთან და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმება. იმის გათვალისწინებით, რომ სამეურვეო საბჭო წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლობით ორგანოს (ოქმის მიხედვით სხდომას ესწრებოდნენ მასწავლებლები, მშობლები და ზესტაფონის საკრებულოს წარმომადგენელი) ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია სკოლის ფილოსოფიის სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარებასთან დაკავშირებით.
სკოლას მიეცა რჩევა. სასურველია სკოლის ფილოსოფიის გაზიარების პროცესში უზრუნველყოფილი იყოს სასკოლო საზოგადოების უფრო ფართო ჩართულობა, მათ შორის მოსწავლეების, მშობლებისა და სხვა დაინტერესებული პირების აქტიური მონაწილეობა. მაგ., სასკოლო

საზოგადოებასთან შეხვედრების, გამოკითხვების, სამუშაო ჯგუფების, ფორმატში თანამშრომლობა, რაც უზრუნველყოფს განსხვავებული მოსაზრებების დაფიქსირებასა და გათვალისწინებას. ასევე მნიშვნელოვანია პროცესის თითოეული ეტაპის სათანადო დოკუმენტირება, რათა ნათლად დასტურდებოდეს, რომ სკოლის ფილოსოფია არა მხოლოდ შეთანხმებულია, არამედ რეალურად გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი.**

სკოლის მისია და ხედვა საჯაროდაა ხელმისაწვდომი. ის გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე, რაც სკოლის მიერ წარმოდგენილი ფოტომასალით დასტურდება და ასევე, განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე. სკოლამ წარმოადგინა დამრიგებლების მიერ მშობლებისათვის ფილოსოფიის წარდგენის დამადასტურებელი ოქმებიც.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.**

სკოლის სახელწოდება სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლა შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს- სკოლა.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს 2025 წლი 5 სექტემბრის სხდომის ოქმი N6;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმიN5 ფილოსოფიის დამტკიცები თაობაზე. 2025 წლის 5 სექტემბერი;
- ფოტო მასალა;
- დამრიგებელბის მიერ მშობლებისათვის სკოლის ფილოსოფიის გაცნობის დამადასტურებელი ოქმები;
- სკოლის ვებგვერდი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (შეთანხმებული სამეურვეო საბჭოს N6 სხდომაზე 2025 წლის 5 სექტემბერი, დამტკიცებული პედაგოგიური საბჭოს მიერ N5 სხდომის ოქმი, 2025 წლის 5 სექტემბერი). სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების/ოქმების ანალიზით დგინდება, რომ დაწესებულებას მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია და სტრატეგიული გეგმა, ასევე, სკოლის ფილოსოფია, ერთი ოქმით აქვს შეთანხმებული სამეურვეო საბჭოსთან, რაც ნიშნავს, რომ სკოლის ფილოსოფია და ტრატეგიული გეგმა საკუთარი მეთოდოლოგიის მიხედვით არ აქვს შემუშავებული.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის დოკუმენტი ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დაწყების წინ დირექტორი ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომლის წევრების ნაწილი შერჩეულია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებიდან ა) სკოლის დირექციის წარმომადგენლები, ბ) სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, გ) მასწავლებლები/წარმომადგენლები კათედრებიდან; დ) მოსწავლე/წარმომადგენელი მოსწავლეთა თვითმმართველობიდან; ე) მშობელი; ვ) თემის წამომადგენელი. გარდა აღნიშნულისა, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ა) სამუშაო ჯგუფის მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება; ბ) პროექტების გაზიარება სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის/თემისთვის; გ)მიღებული უკუკავშირის განხილვა/გათვალისწინება; დ)

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტების საბოლოო სახით ფორმირება და სკოლის დირექტორისთვის წარდგენა; ე) სკოლის დირექტორის მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტების განხილვა და სამეურვეო საბჭოსთან წარდგენა შესათანხმებლად; **ვ)სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცება დირექტორის მიერ** და გაზიარება სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის. ამრიგად, სტრატეგიულ დაგეგმვაზე მომუშავე ჯგუფის ჯგუფის აღნიშნული შემადგენლობა და გაზიარების წარმოდგენილი მექანიზმები უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას დაგეგმარების პროცესში.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის თანახმად სკოლის ფილოსოფია არ მტკიცდება. დაწესებულებამ წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი ფილოსოფიის დამტკიცებაზე, შესაბამისად, სკოლა არ იცავს საკუთარ დადგენილ მეთოდოლოგიას.

ხარვეზი.

1.სკოლას ჰყავს არჩეული დირექტორი. მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცებაზე უფლებამოსილ პირად მითითებულია დირექტორი, რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს N785 - ე ბრძანებასთან „საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ“

2. სკოლა არ იცავს საკუთარი მეთოდოლოგიით დადგენილ წესებს.

სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობის მიხედვით, სკოლამ მიუთითა, რომ მისია, ხედვა, ღირებულებები და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი დამტკიცდება უფლებამოსილი პირის, დირექტორის მიერ. თუმცა აღნიშნული აქტივობა ვერ უზრუნველყოფს იდენტიფიცირებული ხარვეზის აღმოფხვრას. მნიშვნელოვანია, რომ თავად მეთოდოლოგიაში არსებული ჩანაწერი, რომელიც ეხება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცებას, განისაზღვროს სწორად და სრულ შესაბამისობაში მოვიდეს მოქმედ კანონმდებლობასთან.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლის ფილოსოფიის დამტკიცება არ არის გათვალისწინებული, მაშინ როცა სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს მიერ მისი დამტკიცების ოქმი. აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ სკოლა პრაქტიკაში არ იცავს მეთოდოლოგიით განსაზღვრულ პროცესს. აღნიშნულ ხარვეზთან მიმართებით სკოლას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით აქტივობები განსაზღვრული არ აქვს.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე ექსპერტთა მიერ სკოლის არგუმენტირებილი პოზიცია ვერ იქნა გაზიარებული

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან (29.12.2023 წ.სხდომის ოქმი N9) და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ (29.12.2023 წ. სხდომის ოქმი N7). ის მოიცავს შვიდწლიან პერიოდს (2023–2030 წწ.) და ატარებს ციკლურ ხასიათს, ვინაიდან როგორც მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით არის განსაზღვრული სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ხორციელდება შვიდ წელიწადში ერთხელ, ხოლო ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავება იწყება მოქმედი გეგმის ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს 6 თვით ადრე ან შესაბამისი სამართლებრივი/ფაქტობრივი გარემოებების დადგომის შემთხვევაში გონივრულ ვადაში. აღნიშნული მიუთითებს, რომ სკოლას გააზრებული და წინასწარ განსაზღვრული აქვს სტრატეგიული განვითარების უწყვეტობის უზრუნველყოფის მექანიზმები.

სტრატეგიული გეგმის ანალიზის დროს ექსპერტთა ყურადღება მიიქცია სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილმა მიზნებმა და მათთან დაკავშირებულმა ამოცანებმა. კერძოდ, მე-5 სტრატეგიული მიზანი „ინოვაციურობა“ წარმოდგენილია ერთი ამოცანით „სწავლა-სწავლების პროცესში ინოვაციური მეთოდების დანერგვა“, ასევე მე-6 სტრატეგიული მიზანი „განათლების ინკლუზიის განვითარება“ წარმოდგენილია ერთი ამოცანით „უნივერსალური დიზაინის პრინციპების დამკვიდრება სწავლა-სწავლების პროცესში“. აღსანიშნავია, რომ სტრატეგიული მიზანი უნდა იყოს მკაფიო და მრავალმხრივი, ხოლო მისგან გამომდინარე ამოცანები კი ურთიერთდაკავშირებული, კონკრეტული და ისე ფორმულირებული, რომ მათი თანმიმდევრული და ეტაპობრივი განხორციელება უზრუნველყოფდეს დასახული მიზნის სრულყოფილად მიღწევას, რაც მოცემულ შემთხვევაში არ არის დაკმაყოფილებული.

ხარვეზი.

1.**სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს N785 - ე ბრძანებასთან „საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ“ .**

2.N5, N6 სტრატეგიული მიზნებს აქვს მხოლოდ თითო-თითო ამოცანა. სტრატეგიული მიზნები არ არის ჩამოყალიბებული მკაფიოდ და არ არის განსაზღვრული შესაბამის ამოცანები, რომელთა თანამიმდევრული შესრულებაც უზრუნველყოფს მიზნის მიღწევას

სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით სკოლამ განსაზღვრა აქტივობა, რომლის მიხედვითაც „სკოლა მოახდენს სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცებას დირექტორის ბრძანებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს №785-ე ბრძანების („საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ“) საფუძველზე. თუმცა აღნიშნული აქტივობა კვლავ წინააღმდეგობაში მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან,

ვინაიდან სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცება წარმოადგენს სამეურვეო საბჭოს კომპეტენციას და არა დირექტორის. შესაბამისად აღნიშნული აქტივობით ხარვეზის აღმოფხვრა ექსპერტთა მიერ ვერ იქნა გაზიარებული.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ სტრატეგიულ მიზნებს თითო-თითო ამოცანა აქვს განსაზღვრული, მიზნები არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული და არ არის განსაზღვრული ისეთი ამოცანები, რომელთა თანამიმდევრული შესრულება უზრუნველყოფს მიზნების მიღწევას, აღნიშნულთან მიმართებით სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრა, რომ 08.04.2026-დან 29.05.2026 წლამდე პერიოდში დირექტორი, პედაგოგიური საბჭო და სამეურვეო საბჭო განახორციელებენ სტრატეგიული მიზნების ფორმულირებისა და შესაბამისი ამოცანების გადახედვას.

ეს უკანასკნელი აქტივობა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაზიარებულ იქნა, თუმცა ინდიკატორის შეფასება უცვლელი დარჩა.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (08.04.2026 – 29.05.2026 წწ) უზრუნველყოს სტრატეგიული გეგმის კორექტირება და მიზნებთან შესაბამისი ამოცანების სწორად შერჩევა.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.

სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში არ არის მითითებული რომელი აქტივობა რომელი სტრატეგიული მიზნის რომელ ამოცანას მიემართება, თუმცა მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და ემსახურება მის ცალკეული მიზნებისა და მიზნების შესაბამისი ამოცანების შესრულებას. სკოლას მიეცა რჩევა. სასურველია სკოლამ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში დააკონკრეტოს სტრატეგიული მიზნები და მიზნის შესაბამისი ამოცანა, რომლის მიღწევასაც ემსახურება კონკრეტული აქტივობა.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

სკოლის მიერ წარმოდგენილ 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან, განხილული და დამტკიცებულია პედაგოგიურ საბჭოზე. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში არ არის წარმოდგენილი შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ხარვეზი.

1.სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიანი გეგმა დამტკიცებულია პედსაბჭოს მიერ რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს N785 - ე ბრძანებასთან „საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ“ .

2.ერთწლიან სამოქმედო გეგმაში არ არის წარმოდგენილი შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

სტანდარტთან უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით სკოლამ განსაზღვრა, რომ „სკოლა დაამტკიცებს ერთწლიან სამოქმედო გეგმას დირექტორის ბრძანებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს №785-ე ბრძანების („საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ“) საფუძველზე“.თუმცა აღნიშნული აქტივობა კვლავ წინააღმდეგობაში მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან, ვინაიდან სამოქმედო გეგმის დამტკიცება წარმოადგენს სამეურვეო საბჭოს კომპეტენციას და არა დირექტორის. შესაბამისად აღნიშნული აქტივობით ხარვეზის აღმოფხვრა ექსპერტთა მიერ ვერ იქნა გაზიარებული.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში არ არის წარმოდგენილი შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი, რეალისტურად უზრუნველყოფადი რესურსები, აღნიშნულთან მიმართებით სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრა, რომ 08/04/2026-დან 29/05/2026 წლამდე პერიოდში დირექტორი, პედაგოგიური საბჭო და სამეურვეო საბჭო უზრუნველყოფენ აღნიშნული კომპონენტების ასახვას გეგმაში. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა ეს უკანასკნელი აქტივობა და გაიცა რეკომენდაცია. სკოლამ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (08/04/2026-დან 29/05/2026 წწ) უზრუნველყოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დახვეწა ისე, რომ მასში მკაფიოდ იყოს წარმოდგენილი გაზომვადი შესრულების ინდიკატორები და თითოეულ აქტივობასთან დაკავშირებული, რეალისტურად განსაზღვრული და უზრუნველყოფადი რესურსები.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2025-2026 წ. სამოქმედო გეგმა.
- სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.**

სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. სამოქმედო გეგმის შეფასებას სკოლა გეგმავს წლის განმავლობაში ორჯერ, იანვარსა და ივნისში, ხოლო სტრატეგიულ გეგმის შეფასების ვალდებულებას იღებს სტრატეგიული გეგმის მოქმედების შუაში და ბოლოს. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების მონიტორინგის მექანიზმები: ანგარიშგება და მტკიცებულებების შეგროვება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლამ დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტებში წარმოადგინა ფილოსოფიის საკითხებთან დაკავშირებული მეთოდოლოგიის, მისია, ხედვა, ღირებულებების სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის, მონიტორინგის ჯგუფის 2025 წლის 10 ივნისის N2 ოქმი, რომელიც ადასტურებს, რომ აღნიშნულმა ჯგუფმა განიხილა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების საკითხი. სხდომაზე სკოლის დირექტორმა, რომელიც ამავე სამუშაო ჯგუფის წევრია, წარადგინა ანგარიში, რის საფუძველზეც ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შესრულდა წარმატებით. დამატებით წარმოდგენილია დირექტორის ანგარიში სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებით. მიუხედავად აღნიშნულისა, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იკვეთება, თუ რა ფორმით და რა მასშტაბით იყო სასკოლო საზოგადოება (მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები) და სხვა დაინტერესებული მხარეები ჩართული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პროცესში, ასევე არ დასტურდება მათი უკუკავშირის სისტემური შეგროვება,

ანალიზი და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გათვალისწინება. არ დასტურდება მეთოდოლოგიის შესაბამისად იანვარში (იხ. ინდიკატორი 1.2.2.1.) მონიტორინგის განხორციელება.

ხარვეზი. წარმოდგენილ დოკუმენტაციით არ დასტურდება

1.სასკოლო საზოგადოების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და მათი უკუკავშირი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის პროცესში.

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად იანვარში მონიტორინგის განხორციელების პროცესი.

სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით სკოლამ განსაზღვრა, რომ 08/04/2026-29/05/2026 წწ პერიოდში სკოლა უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის პროცესში სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. მეთოდოლოგიის შესაბამისად. სკოლის არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტებმა ვერ გაიზიარეს, ვინაიდან მონიტორინგის პროცესი ორივე შემთვევაში უკვე დამდგარი ფაქტობრივი გარემოებაა.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სკოლას 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შეფასების შედეგები ატვირთული აქვს სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე, რაც ადასტურებს მის საჯაროობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

მიუხედავად იმისა, რომ სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიში ნარატივის სახით, რომელშიც ყველა მიმართულებით აღნიშნულია დაგეგმილი აქტივობების წარმატებით განხორციელება, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იკვეთება, თუ როგორ გამოიყენება აღნიშნული შედეგები სკოლის შემდგომი განვითარების დაგეგმვისას. შესაბამისად, სკოლამ ვერ დაადასტურა, რომ შესრულების ანგარიშები რეალურად გამოიყენება განვითარებაზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მისაღებად.

ხარვეზი.სკოლამ ვერ უზრუნველყო სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების სკოლის შემდგომი განვითარების მიზნით გამოყენების დასაბუთება.

სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით სკოლამ განსაზღვრა, რომ **08/04/2026-29/05/2026** წწ პერიოდში უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების გამოყენების დასაბუთებას შემდგომი განვითარების მიზნით. თუმცა სკოლის

არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვერ იქნა გაზიარებული, ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენს უკვე დამდგარ ფაქტობრივ გარემოებას და მითითებულ პერიოდში სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების გამოყენების დასაბუთება ვერ განხორციელდება. სამოქმედო გეგმის შეფასების შედეგების გამოყენება სკოლამ უნდა გაითვალისწინოს მომდევნო ერთწლიანი გეგმის შემუშავების პროცესში და შესაბამისი დასაბუთებით დაადასტუროს.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

თარიღი 15.04.2026 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: